ცხადდება კონკურსი
აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებისთვის
ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის სტიპენდიების მოსაპოვებლად

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აღნიშნული კონკურსის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ ერთი უნივერსიტეტის არჩევა

აკადემიური პერსონალისთვის

გერმანია

უნივერსიტეტი	**ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი**
მიმართულება	სამართალი
მობილობის ენა	გერმანული/ ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2025 წლის 31 ივლისამდე მობილობა გულისხმობს პროფესორ ედვარდ შრამის მიერ ორგანიზებულ აკადემიური პერსონალის ტრენიგზე დასწრებასა და შედარებით სამართალის კოლოკვიუმში მონაწილეობას; შესაბამისად, ამ მობილობისთვის ვალიდურად ითვლება მხოლოდ პროფესორი შრამის მიერ გაცემული წინასწარი მიღების წერილი.
ვებ-გვერდი	https://www.uni-jena.de/en
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

პოლონეთი

უნივერსიტეტი	**განათლების ეროვნული კომისიის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ჰუმანიტარული მეცნიერებები
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.uken.krakow.pl/en/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**სოციალური და მედიის სწავლების აკადემია**
მიმართულება	სოციალური მეცნიერებები
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.aksim.edu.pl/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**ვარშავის იოზეფ პილსუდსკის სახელობის ფიზიკური აღზრდის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ტურიზმი
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.awf.edu.pl/en
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**უჟის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ფსიქოლოგია, სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკის მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	მობილობის განხორციელება უნდა მოხდეს 2025 წლის 18 ოქტომბრიდან 2026 წლის 24 მაისამდე.
ვებ-გვერდი	www.uni.lodz.pl/en
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

თურქეთი

უნივერსიტეტი	**TED უნივერსიტეტი (ანკარა)**
მიმართულება	ფსიქოლოგია
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.tedu.edu.tr/en
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**ჩანკირის კარატეკინის უნივერსიტეტი**
მიმართულება	სამართალი
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.karatekin.edu.tr/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

უნივერსიტეტი	**სტამბულის ცივილიზაციათა უნივერსიტეტი**
მიმართულება	თურქოლოგია
მობილობის ენა	თურქული/ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://medeniyet.edu.tr/en
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

პორტუგალია

უნივერსიტეტი	**ლისაბონის უნივერსიტეტი**
მიმართულება	არქეოლოგია
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.ulisboa.pt/en
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

ჩეხეთი

უნივერსიტეტი	**ოლომოუცის პალაცკის უნივერსიტეტი**
მიმართულება	საერთაშორისო ურთიერთობები
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.upol.cz/en/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

ადმინისტრაციული პერსონალისთვის

ლატვია

უნივერსიტეტი	**ვიძემეს გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი**
მიმართულება	ევროპეისტიკა (ინსტიტუტის ხელმძღვანელობისთვის)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2024/2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://va.lv/en/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

აპლიკანტთა შესარჩევი პროცესი:

- ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
- საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

1. პასპორტის ასლი;
2. ცნობა სამსახურიდან (ინგლისურ ენაზე);
3. CV-ს ევროპული ფორმატი ინგლისურ ენაზე https://europa.eu/europass/en/create-europass-cv
4. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
5. შევსებული სამუშაო გეგმა **(Mobility Agreement)** ინგლისურ ენაზე:
   5.1 აკადემიური პერსონალის/სწავლების მიზნით მობილობის **(Staff Mobility for Teaching)** შემთხვევაში: სამუშაო გეგმა უნდა მოიცავდეს 8 სალექციო საათს კვირაში; დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული თსუ- ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით; დანართი **1;** **უჟის უნივერსიტეტის შემთხვევაში, დანართი 3**
   5.2 ადმინისტრაციული პერსონალის/ტრენინგის მიზნით მობილობის **(Staff Mobility for Training)** შემთხვევაში: შევსებული მობილობის ხელშეკრულება თსუ-ს შესაბამისი სამსახურის/დეპარტამენტის ხელმოწერით დამოწმებული; დანართი **2;**
6. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (pre-acceptance) (ოფიციალური წერილი სავალდებულო არ არის, საკმარისია მეილით მიღებული თანხმობა/დაინტერესების დასტური, რომელიც გაცემული იქნება მასპინძელი უნივერსიტეტის შესაბამისი აკადემიური მიმართულების სამდივნოს ან/და პროფესორის მიერ).

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული აკადემიური ან/და ადმინისტრაციული პერსონალი უნდა დარეგისტრირდეს გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge და ატვირთოს სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი **(PDF** ფორმატში**)** და გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის **6 ივნისი 17** საათამდე (თბილისის დროით)**.**

- *გამოგზავნილი განაცხადის შეცვლა ან/და ატვირთული დოკუმენტ(ებ)ის გამოცვლა შეუძლებელია;*
- *რეკომენდატორის მიერ რეკომენდაციის შევსების და გამოგზავნის გარეშე სააპლიკაციო განაცხადის გამოგზავნა არ არის შესაძლებელი. შესაბამისად, მშვნელოვანია რეკომენდატორი ჯეროვნად ინფორმირებული იყოს განაცხადის გამოგზავნის დედლაინის თაობაზე*

<u>**დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:**</u>

ა) გაცვლითი და მობილობის პროგრამების მართვის ელექტრონული სარეგისტრაციო პორტალის mobility.tsu.ge გამოყენებასთან დაკავშირებული პირობები:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს განაცხადებას ზემოთ

- მითითებული ვადის (6 ივნისი 17:00 საათი) გასვლის შემდეგ;
- პორტალი mobility.tsu.ge არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს. სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ გაგზავნის ღილაკის დაჭერის შემდეგ. სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- **გასაუბრების ზუსტი დრო და ადგილი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე** [mobility.tsu.ge] **მითითებულ მეილზე; გასაუბრება ტარდება ცოცხალ რეჟიმში.**

ბ) ფინანსები და მობილობასთან დაკავშირებული სხვა პირობები:

- <u>გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მიმღები უნივერსიტეტი ანაზღაურებს როგორც სამუშაო, ასევე ერთ ან ორ სამგზავრო დღეს, რაც განიხილება მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ სააპლიკაციო დოკუმენტაციის მიღების და გადაწყვეტილების შემდგომ.</u>

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, დაუკავშირდით საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს ელ-ფოსტაზე outgoingmobility@tsu.ge